

## 6. მსაჯობა

- 6.1. თფფ-ს მიერ ჩატარებულ საფეხბურთო ტურნირს მოემსახურებიან თფფ-ს სამსაჯო განყოფილების მიერ დანიშნული მსაჯები და მათი მომსახურების ხარჯებს ანაზღაურებს თფფ;
- 6.2. მსაჯი ვალდებულია, შეჯიბრების ტექნიკურ ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილებისა და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით და დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით.
- 6.3. მსაჯი ვალდებულია გუნდის თამაშზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა გააფორმოს თამაშის ოქმში, რომლის შესახებაც უნდა აცნობოს თფფ-ს.

## 7. საჩივრის შეტანის წესი

- 7.1. გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია საჩივრის შემთხვევაში გააფრთხილოს მატჩის დამთავრებისთანავე მოწინააღმდეგე გუნდის ხელმძღვანელობა და მთავარი მსაჯი.

## 8. სადისციპლინო სანქციები

- 8.1. გამოყენებული იქნება თფფ-ს მოზარდთა და ბავშვთა ლიგის სადისციპლინო კოდექსი.

## 9. ფინანსები

- 9.1. ჩამოსული გუნდები დაბინავების და კვების ხარჯებს ფარავენ თვითონ.
- 9.2. ფესტივალში მონაწილეობის თანხაა 350 ( სამას ორმოცდაათი) ლარი.

თფფ-ს საბანკო რეკვიზიტებია:

ა(ა) იპ. ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია

ს.კ. 202886519

ს.ს „ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი LBRTGE22

ანგარიშის ნომერი GE36LB0115112049422000

## 10. დაჯილდოვება

ფესტივალის გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ახალი სპორტული ეკიპირებით, ფესტივალის სიმბოლიკიანი მაისურებით, თასებით, დიპლომებითა და მედლებით.